ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №499144

ნომერი: AR1102044

თარიღი : 09.01.2013

გაცემის თარიღი : 11.01.2013

გაცნობის თარიღი : 11.01.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კაირო , N 81 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ ცხვიტარია პ/ნ 01025014054
- თბილისი დიდი დიღომი გ.ბრწყინვალეს ქ. N 37 ბ. 42

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1102044 განაცხადის პასუხად გაცნობებთ შემდეგს: ამავე მიწის ნაკვეთზე სამსახურის #108092 (03.04.12) გადაწყვეტილებით, ტერიტორიაზე არსებული შენობების რეკონსტრუქციის მიზნით უკვე გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები და #206945 (08.06.12) ბრძანებით შეთანხმებულია პროექტი. ავტოგასამართი სადგურის სპეციპიკიდან გამომდინარე საჭიროა დამატებითი მითითებების გათვალისწინება. გამომდინარე აქედან მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ან წინა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების განმცხადებლის – მოქ შოთა რეხვიაშვილის მინდობილობის საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილება ზემოაღნიშნულ დოკუმენტში. რისთვისაც ამავეგანაცხადზე უნდა შეცვალოთ ნომენკლატურა, დაამატოთ მოთხოვნილი დოკუმენტაცია, ან დააფიქსიროთ აღნიშნული პიროვნება თანაგანმცხადებლის ველში და გაპში ცვლილების განსახორციელებლად აირჩიოთ: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები> მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება.

შენიშვნა: ნომენკლატურის შეცვლა შეგიძლიათ ამავე განაცხადის გვერდზე;

გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს #2378346;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.